აღნიშნული ბროშურის მიზანს წარმოადგენს თავშესაფრის მაძიებელებს, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს[1] მიაწოდოს ინფორმაცია საბავშვო ბაღებში, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, საჯარო სკოლებში, უნივერსიტეტებსა და პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხვის პროცედურებთან, ასევე როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების აღიარების წესთან დაკავშირებით.

„ბავშვის უფლებათა კონვენციის“ თანახმად, ყველა ბავშვს[2] აქვს უფლება მიიღოს განათლება. აღნიშნული უფლება, ასევე, გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. ამასთან ერთად, “საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, თავშესაფრის მაძიებელი, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, საქართველოს მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ სკოლამდელი და ზოგადი

[1] აღნიშნული საინფორმაციო ბროშურა არ ვრცელდება დროებითი დაცვის ქვეშ მყოფ პირებზე.

[2] აღნიშნული ბროშურის მიზნებიდან გამომდინარე, ბავშვი ნიშნავს 18 წლამდე თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირს.

განათლების უფლებით.

უმაღლეს განათლებაზე წვდომა განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (იხილეთ ქვემოთ).

I. საბავშვო ბაღებში ჩარიცხვის პროცედურები

1. თბილისი

თავშესაფრის მაძიებელი, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში რეგისტრაციისთვის აუცილებელია მიმართოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“) საერთაშორისო დაცვის სამმართველოს.

2015 წლის თებერვალში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა დადგენილება №2-5,[3] რომელიც მიზნად ისახავს სკოლამდელი ასაკის თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

[3] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 03 თებერვლის დადგენილება №2-5.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური (შემდგომში სამსახური) წარმოადგენს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს სკოლამდელი ასაკის თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურების ხელმისაწვდომობას.

სკოლამდელი ასაკის თავშესაფრის მაძიებელი, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში რეგისტრაციისთვის აუცილებელია, სამსახურმა მიიღოს მიმართვა სამინისტროდან. აღნიშნულ მიმართვას თან უნდა დაერთოს სკოლამდელი ასაკის პირის და მისი კანონიერი წარმომადგენლის საიდენტიფიკაციო მოწმობის ასლი.[4]

[4] თავშესაფრის მაძიებლებისთვის დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა ან სტატუსის მქონე პირებისთვის დროებითი ბინადრობის მოწმობა.

შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან კოორდინაციით, ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“) ახდენს სკოლამდელი ასაკის პირის ელექტრონულ რეგისტრაციას და მასთან დაკავშირებული საკითხების ტექნიკურ უზრუნველყოფას.

სკოლამდელი ასაკის თავშესაფრის მაძიებელი, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, საქართველოს მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ სკოლამდელი აღზრდის სერვისებით. აღნიშნული, ასევე, მოიცავს ელექტრონულ რეგისტრაციას, ჩარიცხვას და ამორიცხვას.

შენიშვნა

სამინისტროს მიმართვაში მითითებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში თავისუფალი ადგილის არარსებობის შემთხვევაში, სააგენტო უზრუნველყოფს, დაინტერესებული პირის სურვილის გათვალისწინებით, სხვა ალტერნატიული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შერჩევა/შეთავაზებას.

თავშესაფრის მაძიებელმა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებმა რეგიონში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში რეგისტრაციისთვის უნდა მიმართონ შესაბამის მუნიციპალიტეტებს და საბავშვო ბაღებს.

II. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არასრულწლოვანთათვის

1. ზოგადი წესები

იმისთვის, რომ თავშესაფრის მაძიებლებს, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს ჰქონდეთ წვდომა საჯარო სკოლებზე, პირველ რიგში, უნდა დაადასტურონ, რომ შესაბამის დონეზე ფლობენ ქართულ ენას.

ქართული ენის შესწავლის ხელშეწყობის მიზნით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ (შემდგომში განათლების სამინისტრო) მიიღო თავშესაფრის მაძიებლისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესის, პროგრამის შინაარსის, განხორციელების ვადებისა და დაფინანსების წესის განსაზღვრის შესახებ ბრძანება.[5]

[5] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება 193/ნ \ (12.12.2017)

აღნიშნულ პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხონ 18 წლამდე ასაკის თავშესაფრის მაძიებლები, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები.

პროგრამა დაყოფილია ორ მოდულად:

- **I მოდული** - განკუთვნილია 6 წლიდან 11 წლამდე ბავშვებისთვის და უზრუნველყოფს ქართული ენის სწავლებას A1 დონეზე.
- **II მოდული** - განკუთვნილია 11 წლიდან 18 წლამდე ბავშვებისთვის და უზრუნველყოფს ქართული ენის სწავლებას A1 და A2 დონეებზე.

თავშესაფრის მაძიებლები, ლტოლვილები და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე ბავშვები პროგრამაში ჩაერთვებიან წელიწადში ორჯერ - არაუგვიანეს შესაბამისი წლის სექტემბრისა (იმ შემთხვევაში თუ შინაგან საქმეთა სამინისტრო სიას წარუდგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 30 ივლისამდე) და არა უგვიანეს შემდგომი წლის იანვრისა (თუ, სიის წარდგენა მოხდება ნოემბრის 30 რიცხვამდე).[6]

პროგრამა იწყება 15 სექტემბერს და სრულდება 15 ივნისს.[7]

[6] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება 193/ნ (12.12.2017), დანართი 1, მე-5 მუხლი

[7] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება 193/ნ (12.12.2017), დანართი 1, მე-6 მუხლი

ბავშვებს ეძლევათ შესაძლებლობა, ქართული ენის გამოცდა პროგრამის დასრულებამდე ჩააბარონ და ამის შემდგომ ჩაირიცხონ საჯარო სკოლებში.

2. პროგრამის დასრულება[8]

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, ბავშვებს შეუძლიათ ჩაირიცხონ საჯარო სკოლებში. პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის აუცილებელია შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

- დაწყებითი საფეხური - A1 დონის წარმატებით დაძლევა.
- საბაზო საფეხური - A2 დონის წარმატებით დაძლევა.
- საშუალო საფეხური - A2 დონის წარმატებით დაძლევა.

[8] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება 193/ნ (12.12.2017), დანართი 2

პროგრამა წარმატებით დაძლეულად ითვლება შესაბამისი სკოლის ორგანიზებით ჩატარებული გამოცდის (ტესტირება და გასაუბრება) წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, შესაბამისი სკოლის დირექტორის მიერ გაიცემა პროგრამის წარმატებით დაძლევის დამადასტურებელი ცნობა.

3. ქართული ენის შესწავლის სხვა შესაძლებლობები

ლტოლვილთა ინტეგრაციის ცენტრი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა ახორციელებს სახელმწიფო ენის შესწავლის პროგრამას ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, მათ შორის ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისთვის. გაკვეთილები ტარდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ინტეგრაციის ცენტრში. პროგრამა მოსწავლეებს სთავაზობს ქართული ენის A1, A2 და B1 დონის კურსებს.

სწავლის მეთოდიკა ემყარება სპეციალურ მოდულს, რომელიც წლების განმავლობაში წარმატებულად ხორციელდებოდა. გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, კურსდამთავრებულებზე გაიცემა შესაბამისი სერთიფიკატი.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის საქართველოს წარმომადგენლობასთან თანამშრომლობით, სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ მოამზადა პროექტი „ისწავლე ქართული აუდიო გაკვეთილების მეშვეობით“ (CD 12 აუდიო გაკვეთილითა და ილუსტრაციებით), რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, თავშესაფრის მაძიებელთა და მოქალაქეობის არმქონე პირების დახმარებას ქართული ენის სწავლის პროცესში. აუდიო გაკვეთილები ხელმისაწვდომია ჟვანიას სკოლის ელექტრონულ მისამართზე - www.zspa.ge.

დამატებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს პროგრამას „ქართული როგორც უცხო ენა“. სასწავლო და მეთოდოლოგიური მასალები (A1-B2+ დონე) შემუშავებულია ამავე პროგრამის ფარგლებში და ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: geofl.ge. პროგრამა სთავაზობს სასწავლო მასალებს ნებისმიერ პირს, რომელიც შეისწავლის ქართულს, როგორც უცხო ენას.

თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრი

თავშესაფრის მაძიებლებს, რომლებიც განთავსებული არიან მარტყოფში არსებულ თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში, აქვთ შესაძლებლობა, ამავე ცენტრში დაესწრონ ქართული ენის შემსწავლელ უფასო კურსებს. აღნიშნული კუსები განკუთვნილია როგორც ბავშვების, ასევე უფროსებისათვის.

World Vision International

World Vision-თან თანამშრომლობის ფარგლებში, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ დაფინანსებული „საზოგადოებრივი მობილიზაციისა და ჩართულობის“ პროგრამაში არსებული მულტისერვისული ცენტრი წარმოადგენს საზოგადოებრივი მობილიზაციის სივრცეს თავშესაფრის მაძიებლების, ლტოლვილების, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და მოქალაქეობის არმქონეთათვის საქართველოში. ბენეფიციართათვის, ცენტრი ორგანიზებას უწევს ქართული ენის შემსწავლელ კურსებს, რომლებიც სსიპ სურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიერ ტარტება. აღნიშნული კურსების მიზანია, უფასო ენის კურსების იმ პირთათვის შეთავაზება, რომლებიც ვერ სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული სერვისებით.

III. განათლების აღიარება და ექსტერნატის გამოცდები

1. ზოგადი განათლების აღიარება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი), წარმოადგენს უცხოეთში მიღებული ზოგადი განათლების აღიარებაზე უფლებამოსილ ორგანოს.

უცხოეთში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების მიზნით, საგანმანათლებლო დოკუმენტის[9] მფლობელი, ამ პირის მიერ სათანადოდ უფლებამოსილი ან სხვა დაინტერესებული პირი[10] ცენტრში წარადგენს განცხადებას. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

1. სააპლიკაციო ფორმა[11]
2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში, პასპორტის ასლის ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი)

---

[9] ნებისმიერი საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ გარკვეული სახის განათლების მიღებას. მაგალითად, ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ნიშნების ფურცელი ან სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტი.

[10] ძირითად შემთხვევებში, უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ მშობლები ან ნათესავები, ასევე არასრულწლოვანი (თანმხლების გარეშე) პირის შემთხვევაში, სოციალური სააგენტოს მიერ დანიშნული კანონიერი წარმომადგენლები. სხვა დაინტერესებულ პირებს წარმოადგენენ იურიდიული ან ფიზიკური პირები რომელთა ინტერესიც შეიძლება შეილახოს.

[11] იმ შემთხვევაში თუ, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ აპლიკაცია არ არის შევსებული სახელმწიფო ენაზე, განმცხადებელმა ცენტრში უნდა წარადგინოს აპლიკაციის ნოტარიულად დამტკიცებული თარგმანი.

3. სხვა პირის მიერ განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში - უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა).

4. მშობლის მიერ განაცხადის გაკეთების შემთხვევაში, ბავშვის დაბადების მოწმობის ნოდარიულად დამოწმებული ასლი.

5. ნათარგმნი საგანმანათლებლო დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;[12]

6. განაცხადის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (სტანდარტული ერთთვიანი პროცედურა) – 40 ლარი; საზღვარ გარეთ მიღებლი განათლების აღიარების დაჩქარებული პროცედურა (15 სამუშაო დღე) – 80 ლარი; 5 სამუშაო დღე -120 ლარი; 1 სამშაო დღე - 250 ლარი.

7. იმ შემთხვევაში თუ საზღვარ გარეთ განათლება მიღებულ იქნა დისტანციური სწავლების პირობებში, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს საზღვარგარეთ ცხოვრების დამადასტურებელი საბუთი.[13]

---

[12] საგანმანათლებლო დოკუმენტებს წარმოადგენს:
- ზოგადი განათლების დასრულების მოწმობა და მისი დანართი;
- საბაზისო განათლების მოწმობა და მისი დანართი;
- დაწყებითი განათლების ცნობა და მისი დანართი (შეფასების ოფიციალური ფურცელი)
- პროფესიული სწავლების დიპლომი და მისი დანართი (ნიშნების ოფიციალური ფურცელი)
- აკადემიური კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი.

[13] განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი https://eqe.ge/eng/static/213

8. მიმღები საგანმანათლებლო ინსტიტუტის დასკვნა სწავლების პერიოდში მიღებული განალების შესაბამისობასთან დაკავშირებით.

შენიშვნა

ნებისმიერი უცხოენოვანი საბუთის წარდგენა უნდა მოხდეს ნოტარიულად დამოწმებულ ქართულ თარგმანთან ერთად.

ლტოლვილები, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი განათლების ან კვალიფიკაციის დადასტურებას, ზემოთხსენებული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნაცვლად განცხადებას დაურთავენ მიღებული განათლების დამადასტურებელ მათ ხელთ არსებულ ყველა დოკუმენტს ან/და მიუთითებენ ამ დოკუმენტებთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

ცენტრის მიერ დოკუმენტის აღიარებაზე უარყოფითი გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება თბილისის საქალაქო სასამართლოში, ერთი თვის ვადაში.

შენიშვნა

პირი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ირიცხება განათლების აღიარების/აღიარებაზე უარის თქმის დოკუმენტში მითითებული კლასის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ განათლების აღიარების/აღიარებაზე უარის თქმის დოკუმენტიდან არ ირკვევა, თუ რომელ კლასში აქვს პირს მიღებული განათლება, იგი ირიცხება ასაკის შესაბამის ან, მისი თანხმობის შემთხვევაში, უფრო დაბალ კლასში.

ექსტერნატის გამოცდები

ექსტერნატის გამოცდის მიზანია ბავშვებს დაეხმაროს, დაძლიონ ცალკეული კლასის/ კლასების/სემესტრის, ასევე, ცალკეულ კლასში/ სემესტრში შემავალი საგნები.

თუ ცენტრის მიერ თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტის აღიარება ვერ ხერხდება,[14] ზემოაღნიშნული პირის მიმართვის საფუძველზე სკოლა უფლებამოსილია თავად განსაზღვროს ექსტერნატის გამოცდის ჩატარების და ექსტერნად რეგისტრაციის ვადები და უზრუნველყოს გამოცდების ჩატარება.

ექსტერნატის გამოცდა ტარდება წერილობითი ფორმით და მისი ჩაბარება შესაძლებელია ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

ექსტერნატის გამოცდა ტარდება შესაბამისი სკოლის მიერ[15], რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვი ყველა საგამოცდო საგანში

[14] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის ბრძანება №98/ნ.

[15] გამონაკლისს წარმოადგენს მე-12 კლასის ექსტერნის გამოცდა, რომელიც ტარდება ცენტრალიზებულად სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ.

კონსულტაციით, ასევე უფლება მისცეს მას, ისარგებლოს ბიბლიოთეკაში არსებული ყველა საჭირო სასწავლო ლიტერატურით და სკოლაში არსებული ტექნიკური საშუალებებით.

შესაბამისმა სკოლამ შესაძლოა, შეადგინოს ინდივიდუალური გეგმა ბავშვისთვის, რათა დაეხმაროს მას ცალკეული საგნების დაძლევაში.

2. ფორმალური განათლების აღიარება

საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირებს აქვთ უფლება მოიპოვონ ფორმალური განათლების დიპლომის აღიარება, შესაბამისი საბუთის არქონის შემთხვევაშიც. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აღიარებს საერთასორისო დაცვის სტატუსის მქონე პირთა მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებულ განათლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი ვერ ახერხებენ საზღვარგარეთ მიღებული განათლებისა და კვალიფიკაციის დადასტურებას.[16]

ცოდნის შეფასება

მას შემდეგ რაც განაცხადი გაკეთდება, ცენტრი იწყებს შესაბამისი ინფორმაციის მოძიებას საზღვარგარეთ მირებული განათლების დასადას-ტურებლად. ამ მიზნით, ცენტრმა შესაძლოა ჩაატაროს ზეპირი მოსმენა განმცხადებელთან და/ან მიმართოს უცხო ქვეყნის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებას.

---

[16] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბრძანება 98/ნ (01.10.2010), მუხლი 5.1

ცენტრი, განმცხადებლის მიერ მითითებული საგანმანათლებლო დაწესებულების ჩართულობით უზრუნველყოფს გამოცდის ჩატარებას, რათა შეამოწმოს განაცხადში მოწოდებული ინფორმაცია მისი კომპეტენციის, განათლებისა და უნარების შესახებ. გამოცდა ტარდება ქართულ ან ნებისმიერ სხვა უცხო ენაზე, განმცხადებელსა და საგანმანათლებლო დაწესებას შორის არსებული შეთანხმების შესაბამისად.

გამოცდის შედეგებზე დაყრდნობით, ცენტრი (i) აღიარებს, (ii) ნაწილობრივ აღიარებს ან (iii) არ აღიარებს განმცხადებლის მიერ საზღვარგარეთ მიღებულ განათლებას და ადგენს საინფორმაციო ბარათს შემდეგი მონაცემების მითითებით:

1. ბარათის შედგენის თარიღი;
2. საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის მაიდენტიფიცირებელი პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი და სხვა);
3. მონაცემები შესაფასებელი კვალიფიკაციის შესახებ;
4. განმცხადებლის მიერ მოწოდებული დამატებითი ინფორმაცია (უცხო ენების ფლობის, სამუშაო გამოცდილების შესახებ და სხვა.);

5. ინფორმაცია გამოცდის შეფასების პროცე-დურის, შემფასებელი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ და შეფასების შედეგები.

არაფორმალური განათლების აღიარება

შესაბამისი პროფესიული გამოცდის ჩაბარების საფუძველზე საქართველოში შესაძლებელია არაფორმალური განათლების აღიარება, მაშინაც კი თუ პირს არ გააჩნია დამადასტურებელი საბუთები. ასაღიარებელი განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით, დადამატებით, შესაძლებელია ჩატარდეს ზეპირი და/ან წერილობითი გამოცდა.

აუცილებელი დოკუმენტები

განაცხადს უნდა დაერთოს შედმეგი ინფორმაცია:

1. მაძიებლის სახელი და გვარი, ფაქტობრივი და იურიდიული მისამართები;
2. საკონტაქტო ინფორმაცია (ელექტრონული ფოსის მისამართი, ტელეფონი);
3. განაცხადის გაკეთების დრო და თარიღი;
4. განათლების აღიარების მოთხოვნა;
5. ხელმოწერა და დამატებითი საბუთები;

შეფასება

განაცხადის გაკეთების შემდგომ, განმცხადებელს ხელი მიუწვდება არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურების შესახებ კონსულტაციაზე. კონსულტირების შედეგად, კონსულტანტი ავსებს კონსულტირების ფორმას და მასთან ერთად კომისიის წინაშე წარადგენს ინფორმაციას მაძიებლისა და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესახებ. კომისიას შეუძლია განმცხადებლისგან მოითხოვოს დამატებითი საბუთები და/ან ჩაატაროს გამოცდა (მათ შორის პრაქტიკული დავალების შესრულების გზით) ან რაიმე სხვა ტიპის შეფასება. არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

IV. საჯარო სკოლებში ჩარიცხვის პროცედურები

1. პირველ კლასში ჩარიცხვა ონლაინ რეგისტრაციის დროს

ონლაინ რეგისტრაცია ცხადდება წელიწადში ერთხელ და დაყოფილია რამდენიმე ეტაპად. ონლაინ რეგისტრაციის ზუსტი პერიოდი ყოველწლიურად ცხადდება განათლების სამინისტროს ვებგვერდზე - www.mes.gov.ge. ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეებსაც შეუძლიათ ისარგებლონ ონლაინ რეგისტრაციით. თუმცა, ონლაინ რეგისტრაციის სისტემა ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე.

ზოგადად, პირველ კლასში ჩარიცხვისთვის განათლების აღიარება და ქართული ენის გამოცდის ჩაბარება აუცილებელი არ არის. თუმცა, შესაბამისმა სკოლამ შესაძლოა, მოითხოვოს ქართული ენის გამოცდის ჩაბარება ან ორგანიზება გაუწიოს გასაუბრების ჩატარებას.

2. საჯარო სკოლებში ჩარიცხვა ონლაინ რეგისტრაციის დროს

ონლაინ რეგისტრაციის დროს, პიროვნებას შეუძლია მიმართოს შესაბამის სკოლას ბავშვის სკოლაში ჩარიცხვის თაობაზე.[17] განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

1. დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი; და
2. ცენტრის მიერ გაცემული ცნობა, განათლების აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ (III / 1 - განათლების აღიარება).

შესაბამისმა სკოლამ შესაძლოა მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტების წარდგენა. აღნიშნული დოკუმენტები სწავლის პერიოდში ინახება შესაბამის სკოლაში.

3. საჯარო სკოლებში ჩარიცხვა ონლაინ რეგისტრაციის ვადის დასრულების შემდეგ

ონლაინ რეგისტრაციის ვადის დასრულების შემდეგ, სრულწლოვანი მოსწავლე, ხოლო არასრულწლოვანი მოსწავლის შემთხვევაში, მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს განათლების სამინისტროს და მოითხოვს საჯარო სკოლებში ჩარიცხვის უფლებას.[18]

---

[17] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს ბრძანება №675.

[18] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს ბრძანება №675.

განათლების სამინისტრო პასუხს გასცემს 15-30 დღის განმავლობაში.[19] განათლების სამინისტროდან დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში პიროვნება უფლებამოსილია, განცხადებით მიმართოს ნებისმიერ საჯარო სკოლას საქართველოს მასშტაბით. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

1. განათლების სამინისტროდან მიღებული დადებითი პასუხი;
2. დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი; და
3. ცენტრის მიერ გაცემული ცნობა, განათლების აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ (III / 1 - განათლების აღიარება).

შესაბამისმა სკოლამ შესაძლოა მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტების წარდგენა. აღნიშნული დოკუმენტები სწავლის პერიოდში ინახება შესაბამის სკოლაში.

[19] ზოგადად, განათლების სამინისტრო პასუხს გასცემს ერთი კვირის ვადაში.

V. უნივერსიტეტებში ჩარიცხვის პროცედურები

1. ზოგადი წესები

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 52[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 51-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, უცხო ქვეყნისა და საქართველოს მოქალაქეებს, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირებს რომელთაც საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული აქვთ სრული საშუალო ან მისი ექვივალენტური განათლება, ასევე სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში[20] თავისუფლდებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებისგან[21] და შეუძლიათ სწავლა განაგრძონ საბაკალავრო პროგრამებზე საქართველოში.

ზემოაღნიშნული წესით ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებისაგან განთავისუფლებულ პირებს, რომლებიც ჩაირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოიპოვებენ ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს, უფლება აქვთ საერთო სამაგისტრო გამოცდების

[20] აღნიშნული არ ეხება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებსა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებს.

[21] ერთიანი ეროვნული გამოცდები წარმოადგენს საქართველოში საბაკალავრო პროგრამებზე სწავლის წინაპირობას.

გავლის გარეშე განაგრძონ სწავლა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაგისტრატურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე.

გარდა ამისა, პირები, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე პირები რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში,[22] თავისუფლდებიან საერთო სამაგისტრო გამოცდებისგან[23] და შეუძლიათ სწავლა განაგრძონ სამაგისტრო პროგრამებზე საქართველოში.

[22] აღნიშნული არ ეხება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებს.

[23] საერთო სამაგისტრო გამოცდები წარმოადგენს საქართველოში სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის წინაპირობას.

ზემოთხსენებულ შემთხვევებში აუცილებელია, ცენტრის მიერ მოხდეს შესაბამისი საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარება.

პირებმა, რომელთაც მიღებული აქვთ საშუალო ან უმაღლესი (ბაკალავრი) განათლება საქართველოში, უფლება აქვთ ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები ან საერთო სამაგისტრო გამოცდები, რათა სწავლა განაგრძონ საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამებზე საქართველოში.

2. სახელმწიფო სასწავლო და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი

ყოველწლიურად, განათლების სამინისტრო აცხადებს განცხადებების მიღებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გზით ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემის მიზნით. უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ჩარიცხულნი არიან ქართულ

უნივერსიტეტებში ერთიანი ეროვნული გამოცდების ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე, არ შეუძლიათ მიიღონ სახელმწიფო სასწავლო ან სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი.

სასწავლო გრანტზე განაცხადის შეტანისთვის აუცილებელია სტუდენტმა, პირველ რიგში, წარმატებით ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები ან საერთო სამაგისტრო გამოცდები და შემდეგ, მიმართოს განათლების სამინისტროს სასწავლო გრანტთან დაკავშირებით განცხადების შეტანის თაობაზე.

აღნიშნულ გამოცდებზე რეგისტრაცია ხდება წელიწადში ერთხელ.[24] დეტალური ინფორმაციის მიღება და ონლაინ რეგისტრაცია შესაძლებელია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე - www.naec.ge.

თავშესაფრის მაძიებლებს, ლტოლვილებს და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს ასევე შეუძლიათ, მიმართონ თავიანთ რჩეულ უნივერსიტეტებს და გადაამოწმონ მიღების მოთხოვნები.

VI. პროფესიული განათლება

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო წელიწადში ორჯერ აცხადებს მიღებას პროფესიული სწავლების პროგრამებზე - გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

[24] ზოგადად ონლაინ რეგისტრაცია ხორციელდება გაზაფხულზე.

საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთათვის პროფესიული განათლება არის უფასო, შესაბამისად, თუ პირი გადალახავს ტესტირებისთვის დაწესებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, მას ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს სახელმწიფო დაფინანსებითა და პროფესიულ განათლებაზე უფასო წვდომით.

რეგისტრაციისთვის, განმცხადებელმა ქვეყნის მასშტაბით არსებულს რესურს ცენტრებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში უნდა წარმოადგინოს საიდენტიფიკაციო ბარათი და სკოლის დიპლომი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შესაძლებელია ონლაინ რეგისტრაციაც შემდეგ ბმულზე: http://www.vet.emis.ge. განმცხადებელი ვალდებულია ჩააბაროს მისაღები გამოცდა, რომელიც ორგანიზებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ (NAEC). საგამოცდო ტესტების ნიმუშები ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე ხელმისაწვდომია NAEC-ის ვებ-გვერდზე. დამატებით, განმცხადებლებს შესაძლოა მოსთხოვონ უცხო ენის ან სპეციალიზებული ტესტის ჩაბარება.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამები ქართულ ენოვანია. უცხოელებს, რომლებმაც მისაღები გამოცდა ჩააბარეს, აქვთ შესაძლებლობა გაიარონ ქართული ენის ინტენსიური კურსი (2-3 თვის ხანგრძლივობის) სწავლის დაწყებამდე და შემდგომ განაგრძონ პროფესიული სწავლება ქართულ ენაზე.

საკონტაქტო ინფორმაცია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო დაცვის საკითხების სამმართველო

მისამართი: ქ. თბილისი,
მიხეილ გახოკიძის ქუჩა N16
სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი
09:00 - 18:00
ცხელი ხაზი: (+995) 598 080097

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

მისამართი: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის N52
სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი
09:00 - 18:00
ცხელი ხაზი: (0 32) 2 20 02 20

ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო

მისამართი: ქ. თბილისი,
მიცკევიჩის ქუჩა N29-29ა
სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი 10:00 - 19:00
ტელეფონი: (0 32) 2 37 82 45 / (0 32) 2 37 82 43

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საცხოვრებლით უზრუნველყოფის საგენტოს ინტეგრაციის ცენტრი

მისამართი: ქ. თბილისი,
მიხეილ თამარაშვილის ქუჩა N15ა
სამუშაო საათები: ორშაბათი - პარასკევი
09:00 - 18:00
ტელეფონი: (032) 2 140242

World Vision საქართველო მულტისერვისული ცენტრი

მისამართი: ქ. თბილისი, ჟიული შარტავას ქ. 67ბ
სამუშაო საათები: ორშაბათი - პარასკევი
10:00 - 19:00
ცხელი ხაზი: (+995) 577045645

უფლებები საქართველო

მისამართი: ქ. თბილისი, აკაკი გახოკიძის ქუჩა 11ა
სამუშაო საათები: ორშაბათი - პარასკევი
10:00 - 19:00
ტელეფონი: (+995 32) 299 88 56
ხელი ხაზი: (+995) 593 111 405